ბომბარდირი ფორმაში შედის

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 13 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) _ “შახტიორი” (დონეცკი) _ 4:1 (2:1).

“დინამო”: სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, მაჩაიძე.

“შახტიორი”: გოვოროვი, ბილდიუკი, დროზდენკო, ზვიაგინცევი, პიანიხი, კიკოტი, ზახაროვი (პილიპჩუკი), კლიმოვი (დუდინსკი), კონკოვი, იარემჩენკო, კოზინკევიჩი.

მსაჯი: ბ. ბელოზიოროვი (ტაშკენტი).

დუბლიორები _ 2:1 “დინამოს” სასარგებლოდ.

იშვიათად, რომ “შახტიორს” ისე გასჭირვებოდეს, როგორც წლეულს. გუნდმა ხეირიანად ვერც შინ ითამაშა და ვერც გარეთ, დაკარგა უამრავი ქულა და ახლა ფაქტიურად უმაღლესი ლიგიდან განდევნის ერთ-ერთი კანდიდატია. მიუხედავად ლენინგრადის “ზენიტთან” მოპოვებული გამარჯვებისა, მეშახტეთა სატურნირო მდგომარეობა კვლავინდებურად მძიმეა. გუნდის ახალ მწვრთნელს ა. ფალიანს მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება დაჭირდა კოლექტივის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად (გაათავისუფლეს რამდენიმე მოთამაშე. დუბლშემადგენლობიდან დააწინაურეს ახალგაზრდები და ა.შ.).

ასეთ ვითარებაში “შახტიორთან” თამაში იოლი არ იყო. სტუმრებმა ყველაფერი იღონეს, რათა ეხსნათ თუნდაც ერთი ქულა, იბრძოლეს თავგამოდებით და მატჩის გარკვეულ პერიოდებში, განსაკუთრებით, პირველ ტაიმში, დინამოელთა დაცვას და ახალგაზრდა მეკარე სტეფანიას საკმაოდ მძიმე დატვირთვის გადატანა მოუხდათ.

“დინამოს” ხელმძღვანელობამ განლაგების ისეთივე სქემა აირჩია, როგორიც თასის ფინალურ მატჩში: წინ მხოლოდ 2 ფორვარდი იყო (მეტრეველი და ნოდია), დანარჩენები კი მინდვრის შუა და უკანა ხაზების მოთამაშეებს წარმოადგენდნენ. მაგრამ თამაშის არსი, ტაქტიკური ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა ხდება არა ფეხბურთელთა პირველდაწყებითი განლაგებით, არამედ მათ მიერ თამაშის მსვლელობაში გაწეული სამუშაოსა და დავალებული ფუნქციების შესრულებით. ჩვენი ოთხი ნახევარმცველიდან არც ერთი არაა დაცვითი ტენდენციების მატარებელი და ყველას შეუძლია წინა ხაზზე ფორვარდების ნაკლებობის ანაზღაურება.

ასეთი სამუშაო შესრულდა კიდეც და თბილისელებმა არა მარტო გაიმარჯვეს, არამედ დიდი ანგარიშით მოგებული მატჩისთვის დაწესებული პრიზის ბალიც მიიღეს. მაგრამ ჩვენი გუნდის ნახევარმცველების მიმართ მაინც უნდა ითქვას, რომ პირველ ტაიმში ისინი მუდამ ვერ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე, აფერხებდნენ შეტევას, არაზუსტად აწვდიდნენ ბურთს თავდამსხმელებს, არ ურტყამდნენ კარში.

შესვენების შემდეგ ნახევარდაცვა ამუშავდა ისე, როგორც საჭიროა და თამაშიც მაშინვე გაიშალა. მართალია, დონეცკელებს არც მაშინ შეუწყვეტიათ ძალზე სახიფათო კონტრშეტევები, მაგრამ დინამოელები უკვე ყველა რგოლში ჯობდნენ თავიანთ მეტოქეს. შესანიშნავად ითამაშა მეტრეველმა; საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა ჩვენი გუნდის მთავარმა ბომბარდირმა გ. ნოდიამ. კარგა ხანია არ გვინახავს იგი ასეთი მობილიზებული, აქტიური, შეტევის სათავეში მყოფი. უდავოა, გ. ნოდია ფორმაში შედის და ეს დიდ სარგებლობას მოუტანს კოლექტივს.

ანგარიში სწორედ ნოდიამ გახსნა და საკმაოდ რთულ სიტუაციაში: მიმდინარეობდა მე-3 წუთი, დინამოელებს კი უკვე რამდენიმე სახიფათო მომენტი ჰქონდათ შექმნილი “შახტიორის” კართან. ერთ-ერთი მათგანი გოლით დაამთავრა ნოდიამ, როცა კარის ხაზზე რამდენიმე მცველი იმყოფებოდა _ 1:0.

ანგარიშის გათანაბრება სტუმრებმა შეძლეს 29-ე წუთზე. კოზინკევიჩმა თავისი ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ ბურთი ცენტრში გადასცა, სადაც იარემჩენკოს არავინ იჭერდა _ 1:1.

ტაიმის ბოლოს თბილისელები კვლავ შეტევაზე იყვნენ. კუტივაძე სწრაფად ჩაერთო მასში და ისე მოულოდნელად შეასრულა მანევრი, რომ გოვოროვის პირისპირ გავიდა, მას მაისურში სტაცეს ხელი და არ მისცეს გადამწყვეტი დარტყმის საშუალება. მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა მეტრეველმა _ 2:1.

პირველი ტაიმის მძიმე ბრძოლის შემდეგ მასპინძლებმა შეძლეს სრული გარდატეხის შეტანა თამაშში. მატჩი ახალი განახლებული იყო, როცა დინამოელებმა შორიდან გაითამაშეს საჯარიმო, ბურთი მოხვდა კუტივაძესთან, მან კარგად გაიყვანა კარის წინ ნოდია და ანგარიში დახდა 3:1.

79-ე წუთზე კუტივაძე დრიბლინგით გავიდა მცველებს შორის, მეკარეც უკან მოიტოვა და კარის წინ მიაწოდა ბურთი პეტრიაშვილს, რომელმაც თავით გაიტანა მეოთხე გოლი.

ამ კალენდარული დღის შემდეგ თბილისის "დინამო" ჩემპიონატის პოტენციური ლიდერია. თასის ფინალური მატჩის ანგარიშში ჩვენ ვწერდით, რომ ჩვენს გუნდს, როგორც ფინალისტს, შეიძლება შეექმნას შესაძლებლობა ითამაშოს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ტურნირში, მაგრამ თუ საქმე ისე წავა, როგორც დღესაა, დინამოელებს უფრო მეტიც შეუძლიათ: მოიპოვონ ჩემპიონობა და უშუალოდ ჩემპიონთა თასზე ითამაშონ. მაგრამ ამ საპატიო ამოცანის შესრულებას მათ უნდა შეწირონ ყველაფერი _ ძალა, უნარი, ენერგია, ოსტატობა, მონდომება.

ბ. ქორქია.
"ლელო", 15 აგვისტო, 1970 წ.